

დანაკარგების მაქსიმალური ზღვრული ოდენობების შემმუშავებელი კომისიის
საქმიანობის წესი

მუხლი 1

1. დანაკარგების მაქსიმალური ზღვრული ოდენობების შემმუშავებელი კომისია (შემდგომში - კომისია) არის შემოსავლების სამსახურის სათათბირო ორგანო და მისი შექმნის მიზანია საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიზნებისათვის, ბუნებრივი დანაკარგების მაქსიმალური ზღვრული ოდენობების, საწარმოო დანაკარგების მაქსიმალური ზღვრული ოდენობების, საქონლის გამოსავლიანობისა და საწარმოო პროცესთან დაკავშირებული სხვა ტექნიკური ნორმების (შემდგომში - ტექნიკური ნორმები) შემუშავება.

2. კომისია ტექნიკური ნორმების შემუშავებას ახორციელებს:

ა) შემოსავლების სამსახურის ინიციატივით;

ბ) გადასახადის გადამხდელის განცხადების საფუძველზე.

მუხლი 2

1. კომისიის სხდომას წარმართავს და ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნისას, კომისიის თავმჯდომარის დავალებით კომისიის ერთ-ერთი წევრი.

2. კომისიის სხდომის შედეგების გათვალისწინებით დგება კომისიის სხდომის ოქმი.

3. განსახილველი საკითხის სირთულის გათვალისწინებით, კომისია უფლებამოსილია, სხდომაზე მოიწვიოს ექსპერტები, სპეციალისტები, სხვა ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლები, კერძო სექტორის წარმომადგენლები.

4. კომისიის მიერ გადასახადის გადამხდელის განცხადების განხილვის ვადაა არაუმეტეს 2 თვე.

5. კომისია ტექნიკურ ნორმებს ადგენს გადასახადის გადამხდელის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის/ინფორმაციის, საერთაშორისო და სახელმწიფოთაშორისი სტანდარტების, შემოწმების მასალების, საგადასახადო მონიტორინგის შედეგების, ექსპერტიზის დასკვნის ან/და სხვა სათანადო ინფორმაციის საფუძველზე.

მუხლი 3

1. გადასახადის გადამხდელის ინიციატივით ტექნიკური ნორმების დადგენის შემთხვევაში, გადასახადის გადამხდელი ვალდებულია შემოსავლების სამსახურს წარუდგინოს:

- ა) განცხადება ტექნიკური ნორმების დადგენის თაობაზე;
- ბ) მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი;
- გ) ტექნიკური ნორმების შემუშავებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია/ინფორმაცია.

2. ტექნიკური ნორმების შემუშავების მიზნით, კომისიას უფლება აქვს:

- ა) გადასახადის გადამხდელს მოთხოვოს დამატებითი დოკუმენტაციის/ინფორმაციის (მათ შორის, ექსპერტიზის დასკვნის) წარდგენა;
- ბ) გადაამოწმოს მოწოდებული ინფორმაციის სისწორე.

3. კომისიის მიერ დამატებითი დოკუმენტაციის/ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში, გადასახადის გადამხდელი ვალდებულია, მოთხოვნილი დოკუმენტაცია/ინფორმაცია კომისიას წარუდგინოს არაუმეტეს 1 თვის ვადაში.

4. გადასახადის გადამხდელის მიერ დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტაციის/ინფორმაციის კომისიისათვის წარდგენამდე ჩერდება ტექნიკური ნორმის დადგენის თაობაზე გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის განხილვის ვადის დინება.

მუხლი 4

1. ტექნიკური ნორმის დადგენის თაობაზე გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის განხილვის შედეგად კომისიას უფლება აქვს:

- ა) შეიმუშაოს ტექნიკური ნორმა გადასახადის გადამხდელის მიერ მოთხოვნილი ოდენობით;
- ბ) შეიმუშაოს ტექნიკური ნორმა გადასახადის გადამხდელის მიერ მოთხოვნილისაგან განსხვავებული ოდენობით;
- გ) უარი თქვას ტექნიკური ნორმის შემუშავებაზე.

2. კომისია უფლებამოსილია, უარი თქვას ტექნიკური ნორმის შემუშავებაზე, თუ:

- ა) წარმოდგენილი დოკუმენტაცია/ინფორმაცია არასრულია;
- ბ) წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არსებული მონაცემები არ შეესაბამება ფაქტობრივ მდგომარეობას;
- გ) საწარმოს ტექნიკურ-ტექნოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე, ტექნიკური ნორმის დადგენა შეუძლებელია;

დ) წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ იძლევა ტექნიკური ნორმის დადგენის შესაძლებლობას;

ე) ექსპერტიზის დასკვნიდან/საგადასახადო შემოწმების მასალებიდან, საგადასახადო მონიტორინგის შედეგებიდან ან სხვა მონაცემებიდან გამომდინარე, ტექნიკური ნორმის დადგენა მიზანშეუწონელია;

ვ) მოთხოვნა სცილდება კომისიის კომპეტენციის ფარგლებს.

მუხლი 5

კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე, ტექნიკური ნორმა მტკიცდება შემოსავლების სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.